დასკვნა „სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ბორჯომის სატყეო უბნის ჩარხისწყლის სატყეოში (კვარტალი N20, ლიტერი N3, N5, N6, N7, N8, N9, N10, N11 და კვარტალი N21, ლიტერი N6, N7) მდებარე 49 952 კვ.მ ტერიტორიისთვის ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ“

საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრომ განიხილა სსიპ ქონების ეროვნული სააგენტოს 2024 წლის 04 ოქტომბრის N6/57512; 21 ოქტომბრის N6/60427 და 04 ოქტომბრის N6/63110 კორესპონდენციები რომელიც ეხება შპს „ბორჯომის სამოთხე“-ს განცხადებით წარმოდგენილი, სახელმწიფო ტყეში მდებარე მიწის ნაკვეთებისთვის (**49 952 კვ.მ**) , საკურორტო და სარეკრეაციო მიზნით ტყით სტატუსის შეწყვეტის საკითხს. აღნიშნულთან დაკავშირებით გაცნობებთ შემდეგს:

შპს „ბორჯომის სამოთხე“-ს განცხადებით წარმოდგენილი (საერთო ჯამში **49 952 კვ.მ)** მიწის ნაკვეთები, „სახელმწიფო ტყის ფონდის საზღვრების დადგენის შესახებ“ საქართველოს მთავრობის 2011 წლის 04 აგვისტოს N299 დადგენილებით დამტკიცებული სახელმწიფო ტყის საზღვრების მიხედვით, მდებარეობს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ბორჯომის სატყეო უბნის ჩარხისწყლის სატყეოში კვარტალი N20, ლიტერი N3, N5, N6, N7, N8, N9, N10, N11 და კვარტალი N21, ლიტერი N6, N7- ში და მასზე ირიცხება შემდეგი ხე-მცენარეები: 0.15 კბ.მ აილანთუსი (*Ailantus*), 0.05 კბ.მ არყი (*Betula*), 0.07 კბ.მ მაჟალო (*Malus*), 0.12 კმ.მ ვერხვი (*Populus*), 0.07 კბ.მ თელა (*Ulmus*), 0.17 კბ.მ კუნელი (*Crategus*), 20.82 კბ.მ მუხა(*Quercus*), 148.94 კბ.მ ნაძვი (*Picea*), 0.88 კბ.მ ნეკერხალი (*Acer*), 0.12 კბ.მ რცხილა (*Carpinus*), 7.11 კბ.მ სოჭი (*Abies*), 0.06 კბ.მ უთხოვარი (*Taxus*), 50.02 კბ.მ ფიჭვი (*Pinus*), 6.55 კბ.მ ცაცხვი (*Tilia*), 0.04 კბ.მ ჯაგრცხილა (*Carpinus*).

კომპანიის მიერ მოწოდებული ინფორმაციით, ზემოაღნიშნული მიწის ნაკვეთების განვითარებისა და საინვესტიციო ვალდებულებების შესრულების ფარგლებში კომპანია გეგმავს მრავალფუნქციური კომპლექსის მშენებლობას. ამ მიზნით მათ მიერ დაქირავებული იქნა შესაბამისი არქიტექტურული კომპანია. პროექტის განვითარება მოიცავს სასტუმროს, მულტიფუნქციური კომპლექსისა და რეკრეაციული სივრცეების შექმნას, რითაც კომპანია მიზნად ისახავს აღნიშნულ ტერიტორიის განვითარებით თავის მხრივ ხელი შეუწყოს

ტურისტული ინფრასტრუქტურის განვითარებას და შექმნას დასაქმების ახალი შესაძლებლობები.

პროექტის განსახორციელებლად ინვესტიციის საერთო მოცულობა შეადგენს 2,000,000 (ორი მილიონი) ლარს. კომპანია მზად არის 12 თვის ვადაში 500,000 ლარის ოდენობით ფულადი კომპენსაცია გადაიხადოს სსიპ ეროვნული სატყეო სააგენტოს სასარგებლოდ. კომპანია ასევე მზად არის შეასრულოს დებულების მე-12 მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით დადგენილი ვალდებულებები: თითოეულ 1 ჰექტრამდე ფართობზე განახორციელოს არანაკლებ 400,000 (ოთხასი ათასი) ლარის ინვესტიცია. ასევე, 75% ფართობზე არსებული მერქნიანი მცენარეებისა და ბუნებრივი ეკოსისტემების შენარჩუნება/დაცვა.

დაინტერესებულმა პირმა, დებულების მე-12 მუხლის მე-4 პუნქტით გათვალისწინებული წესის შესაბამისად, წარმოადგინა ტერიტორიის განვითარების გეგმა და შესაბამისი პროექტი. წარმოდგენილი ტერიტორიის განვითარების გეგმისა და პროექტის თანახმად, დაინტერესებაში არსებულ ტერიტორიაზე მოეწყობა მრავალფუნქციური კომპლექსი, სადაც იქნება სპორტული სივრცე, აუზი, გასართობი სივრცე და ავტოსადგომები.

რაც შეეხება დებულების მე-12 მუხლის მე-5 პუნქტით გათვალისწინებულ შემთხვევას, პროექტი არ ექვემდებარება ზურმუხტის ტერიტორიაზე ზემოქმედების შეფასების (ზზშ) დოკუმენტს და ასევე არ ექვემდებარება გარემოზე ზემოქმედების შეფასებას.

საქართველოში სახელმწიფო ტყის სტატუსის შეწყვეტის საკითხს არეგულირებს „საქართველოს ტყის კოდექსი“ (შემდგომში - კოდექსი) და დებულება. კოდექსის მე-13 მუხლის პირველი ნაწილის მიხედვით, ტყის სტატუსის შეწყვეტის შესახებ გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს მთავრობა. ამასთან, აღნიშნული გადაწყვეტილება მიიღება ინტერესთა ურთიერთგაწონასწორების საფუძველზე, თუ ტყის სტატუსის შეწყვეტის ინტერესი აღემატება ტყის შენარჩუნების ინტერესს. ამასთან, კოდექსის ამავე მუხლის მე-7 ნაწილის „გ“ ქვეპუნქტის თანახმად, ტყის სტატუსის შეწყვეტის ერთ-ერთი უპირატესი ინტერესი შეიძლება იყოს საკურორტო და სარეკრეაციო მიზნებისთვის საინვესტიციო წინადადების არსებობა.

ყოველივე ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, კოდექსის მე-13 მუხლისა (ტყის სტატუსის შეწყვეტა, ტყის სტატუსის დაბრუნება) და დებულების III თავის (ტყის სტატუსის შეწყვეტა და ტყის სტატუსის დაბრუნება) მოთხოვნების შესაბამისად, **მიზანშეწონილად მივიჩნევთ**, საქართველოს მთავრობას განსახილველად და შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად წარედგინოს, საკურორტო და სარეკრეაციო მიზნით „სსიპ - ეროვნული სატყეო სააგენტოს სამცხე-ჯავახეთის სატყეო სამსახურის ბორჯომის სატყეო უბნის ჩარხისწყლის სატყეოში (კვარტალი N20, ლიტერი N3, N5, N6, N7, N8, N9, N10, N11 და კვარტალი N21, ლიტერი N6, N7) მდებარე 49 952 კვ.მ ტყის ფართობისთვის ტყის ტყის სტატუსის შეწყვეტის და საკომპენსაციო თანხის განსაზღვრის (საერთო ჯამში 500 000 ლარი) საკითხი.